პროექტის ძირითადი შემსრულებელი **ელგუჯა გიუნაშვილი,** ფილოლოგიის დოქტორი, 1995-დან დღემდე არის ლონდონის ბიბლიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების მთავარი რედაქტორი, მის მიერ ან მისი რედაქტორობით გამოცემული წიგნებიდან გამოვყოფთ რამდენიმე: 1.სინური ოთხთავი. ტექსტი, გამოკვლევა, საძიებლები და ლექსიკონი. მონოგრაფია. თბილისი, „ნეკერი“, 2010 წ.; 2) „ახალი აღთქუმაჲ“ გიორგი ათონელის რედაქცია. ტექსტი, საძიებლები და ლექსიკონი. მონოგრაფია. თბილისი, 2003 წ.; 3)არსენ იყალთოელის „დიდი სჯულისკანონი“ – ტექსტი, გამოკვლევა, თბილისი, „მეცნიერება“, 1975 წ.(ტანანვტორები გ. ნინუა, მ. დოლაქიძე, ე. გაბიძაშვილი); 4) შატბერდის კრებული X საუკუნისა – ტექსტი და გამოკვლევა, თბილისი, „მეცნიერება“, 1979 წ. (თანავტორი ბაქარ გიგინეიშვილი); 5).ექვთიმე ათონელის „მცირე სჯულისკანონი“ – ტექსტი, გამოკვლევა, საძიებლები და ლექსიკონი. მონოგრაფია. თბილისი, „მეცნიერება“, 1972 წ. ლუკას სახარების ძველი ქართული თარგმანი, კრიტიკული ტექსტი უძველესი ხელნაწერების მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვაძემ, სოფიო სარჯველაძემ და ეკა კვირკველიამ, 2016, http://ogg.tsu.ge/.

სხვადსხვა დროს იგი მონაწილეობდა რამდენიმე საგრანტო პროექტში: 1. 2013-2016 წწ. შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, N 31/64, *ლუკას სახარების ძველი ქართული თარგმანის აკადემიური გამოცემის მომზადება,* ძირითადი შემსრულებელი 2. 2006-2009 წწ. დონორი ორგანიზაცია: INTAS (2005-1000008-8026), *მათეს და მარკოზის სახარებების ქართული თარგმანების აკადემიური გამოცემა და ოთხთავის ტექსტის შემცველი ქართული ხელნაწერების კატალოგი,* ძირითადი შემსრულებელი 3. 2003-2006 წწ. დონორი ორგანიზაცია: VWF ფოლკსვაგენის ფონდი, კავკასიური წარმოშობის პალიმფსესტური ხელნაწერები, ძირითადი შემსრულებელი 4. 2002-2003 წწ. დონორი ორგანიზაცია: ფონდი “ღია საზოგადოება – საქართველო”, CH/01/1390, *ქართული ოთხთავის აკადემიური ტექსტის დადგენა და ახალგაზრდა ფილოლოგთა ტრენინგი (მარკოზის სახარება)*, ძირითადი შემსრულებელი 5. 2000-2001 წწ. დონორი ორგანიზაცია: ფონდი “ღია საზოგადოება – საქართველო”, HESP/04/00-221, *ქართული ოთხთავის აკადემიური ტექსტის დადგენა და ახალგაზრდა ფილოლოგთა ტრენინგი (მათეს სახარება)*, ძირითადი შემსრულებელი.

ელგუჯა გიუნაშვილი დაარსებიდან დღიდან არის პროფესორ ზ. სარჯველძის მიერ ოთხთავის ტექსტის დასადგენად შექმნილი ჯგუფის წევრი. მას არაერთი წიგნი აქვს გამოცემული ზურაბ სარჯველაძესთან თანაავტორობით:„ადიშის ოთხთავი 897 წლისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვაძემ, მანანა მაჩხანელმა, ზურაბ სარჯველაძემ და სოფიო სარჯველაძემ, თბ., 2003; ბიბლიის ლექსიკონი: (მასალები). ტ. 1, ტ 2 / [შემდგენლები: ელგუჯა გიუნაშვილი, ზურაბ კალანდაძე ; რედ. ზურაბ სარჯველაძე.2009.